1877—1895

№ 193
პარასკევი, 8 სექტემბერი 1895

# ივერია

№ 193
პარასკევი, 8 სექტემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 10 სექტემბერს**

---

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი** აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 11 სექტემბერს **კრწანისის ველზედ მეფის ერეკლე II ჯარსა და ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრის შორის მომხდარ ბრძოლის ასის წლის შესრულების დღეს**, ლიტურგიის შემდეგ ბერმენთა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, კრწანისის ველზედ, გარდახდილ იქნება **პანაშვიდი მართლ-მადიდებელ მეომართა სულის მოსახსენებლად**, რომელთაც სარწმუნოებასა და სამშობლოს შესწირეს თავი და აგრეთვე სამადლობელი საღმრთო პარაკლისი **საშველ, საიმპერატორო ოჯახისა** და ქრისტეს მოყვარე რუსეთის მხედრობის სადღეგრძელოდ, რომლის მფარველობის ქვეშეც საქართველო ერთის საუკუნის განმავლობაში დაურღვეველის, მშვიდობიანის მოქალაქობრივის განვითარებით სარგებლობდა.

დასაწყისი ლიტურგიისა იქნება დილის 9 საათზედ.

(6—4)

---

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

---

**დავით ავალიშვილი, მოწაფე სათავად-აზნაურო სასწავლებლისა**, სთხოვს ნათესავებს და გულის შემატკივართ დახმარება აღმოუჩინონ სწავლის გასაგრძობად, რადგანაც ფულის შეუტანლობისა გამო იგი დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდგან.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, საიფოვის სახლი, № 24.

---

ტფილისის ქალაქის საბჭო ამით აცხადებს, რომ ვერის ხიდზედ ეტლით გამვლელთ ფულის მიღების შემდეგ ხარჯის მკრეფავის მიერ მიეცემათ ბილეთი, რომელიც უნდა შეინახონ, ვიდრე ხიდს გავიდოდნენ, საცა დაუბრუნებენ მეორეს, ხარჯის მკრეფავს.

---

**გამგეობა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 8 სექტემბერს, 6 საათზედ, საღამოს დაიწყება რეპეტიციები გამოსაცდელ წარმოდგენისა.

---

## ტფილისი, 8 სექტემბერი.

დღეს შესრულდა ოც-და-თხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსად დაინიშნა. ყოვლად შეუძლებელია გაზეთის მოკლე წერილში დაახლოვებითაც არის განიხილოს ის დიდი და შესანიშნავი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის გამოჩენილს მღვდელ-მთავარს ჩვენის სამშობლოის წინაშე; აგრეთვე შეუძლებელია სავსებით დახასიათდეს პირადობა ამ მრავალის ღირსებითა და ნიჭით დაჯილდოვებულის ადამიანისა! ამისთვის საჭიროა დიდი და საფუძვლიანი გამოკვლევა არა თუ მღვდელ-მთავრის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, არამედ დასავლეთ საქართველოს უკანასკნელის 35 წლის ისტორიისა, რადგანაც ამ ქვეყნის წარმატებაში მას ეკუთვნის მეტად თვალ საჩინო ალაგი.

მღვდელ-მთავარმა გაბრიელმა მიიღო მშვენიერი განათლება რუსეთში. მეტად ნიჭიერმა ბუნებით, გაბრიელმა, კარგად შეითვისა ფილოსოფია, პსიხოლოგია, მათემატიკა და ღვთის-მეტყველება. მესამოცე წლებში მან დასტამბა რუსული თხზულება «Основанія опытной психологіи», რომელმაც მიიქცია საყოველთაო ყურადღება. მაშინ რუსულს ლიტერატურაში ბატონობდა მატერიალისტური მიმართულება და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ გაბრიელის თხზულებას რუსეთის ლიტერატურის მძლავრი სკოლა მტრულად მიეგება, მაგრამ გამოჩენილი მწერალი ჩერნიშევსკი მაინც სწერდა, რომ ახალი თხზულება ბევრად და ღირსეულად განირჩევა სხვა ამგვარ თხზულებათაგანაო... თავისი მშვენიერი მომზადება ახალგაზდა ქიქოძემ მალე გამოიყენა სამშობლოში. იგი დაინიშნა ტფილისის სემინარიაში ჯერ ღვთის - მეტყველებისა და შემდეგ მათემატიკის მასწავლებლად. ამ საგანთა და მეტადრე ფიზიკის სწავლება ახალმა პედაგოგმა სრულიად ახალსა და კარგს ნიადაგზედ დაამყარა: გასაგებათ, მოკლედ და ცოცხლად გარდასცემდა თავისს მოწაფეთ საგანს და ამით შეუმჩნევლად, ადვილად სწრთვნიდა თვისს მოწაფეთ და მეცნიერებისადმი სიყვარულს უნერგავდა იმ „ბურსაკებს“, რომელთათვის სწავლა და ზეპირობა ერთი და იგივე იყო და რომელნიც მეცნიერებისადმი მხოლოდ სიძულვილსა გრძნობდნენ... იმავე სემინარიაში გაბრიელი ყმაწვილების ზედამხედველადაც იყო და შესანიშნავი ზნეობრივი გავლენა მოიპოვა მათზედ... ყმაწვილობიდგან ღვთის სიყვარულში აღზრდილს გაბრიელს მარტო მასწავლებლობა არ აკმაყოფილებს და ის ჯერ როგორც მღვდელი, შემდეგ როგორც ბერი, შეუდგა ღვთის მსახურებას. განათლებულმა და ენერგიულმა ბერმა მალე მიიქცია მთავრობის ყურადღება და დაწინაურებულ იქმნა ისე, რომ სამის წლის შემდეგ გადაყვანილ იქმნა იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად.

მრავალ მხრივი და მეტად მდიდარია გაბრიელის მოღვაწეობა როგორც იმერეთის ეპისკოპოსისა! თავდაპირველად მან მიაქცია ყურადღება უნუგეშო და საწყალს მდგომარეობას იმერეთის სამღვდელოებისას. საშინლად დაქვეითებული მატერიალურად და უმეცრებაში ჩაფლული სამღვდელოება, რასაკვირველია, ვერ ასრულებდა თავისს დანიშნულებას ისე წმიდად და ღირსეულად, როგორც მოეთხოვებათ ხალხის მოძღვართა და სულიერ მამათ. გაბრიელმა, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო, გააუმჯობესა სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობა, გაანთავისუფლა სასულიერო წოდება უსარგებლო და უსამართლო თავად-აზნაურობის დამოკიდებულებისაგან და გააძლიერა სწავლა-განათლება. ამ საშუალებათა მეოხებით გაბრიელმა ნელ-ნელა განაკარგა და გაახლა სასულიერო წოდება იმერეთისა და მით შესაძლებელად ქმნა სამღვდელოების მიერ თავისის დანიშნულების რიგიანად აღსრულება... მეტად დიდი შრომა და ენერგია გასწია სასიქადულო არქიელმა ქუთაისში სემინარიის დაარსებისათვის და თუმცა გვიან, მაგრამ მაინც აუსრულდა ეს დიდის ხნის განზრახვაც. ხოლო სემინარიის დაარსება სხვა საშუალებასთან ერთად დაამთავრებს გაბრიელის წადილს, რომ იმერეთის სამღვდელოება გონებითაც და ზნეობითაც რაც შეიძლება მაღლა იდგას...

უმეტესის ენერგიით, სიყვარულით და თავგანწირულებით შეუდგა გაბრიელი თავისს სამწყსოს სამსახურსაც. აქ, ამ ფართო სარბიელზედ, სავსებით დაგვანახვა მღვდელ-მთავარმა— რა დიდის ნიჭისა და ენერგიის პატრონი არის იგი და როგორ ღრმად

---

# ფელეტონი

### ტიტო კეთილაძე და ვასკა გადარჯულებული.

(დასასრული *)

მშობელი ერის უმეცრება კარგს ხარკს აძლევს მადა-წახალისებულს ვასკას და ისიც დოვლათით სავსეა. მისი სახლი სიმდიდრით დუღს და გადმოდის. სხვაფრივ ბედნიერს ვასკას ერთი უბედურება სჭირს. ამ უბედურებას შეადგენს მეტად მოუსვენარი ათასგვარი საზარელი მოჩვენებით სავსე ძილი. დიაღ, ვასკას მოსვენებით არა სძინავს. ეს ალბად იმ ახირებულის სინიდისის ბრალია, რომელიც განგებას ვასკას კერძად მოუძღვნებია. ეს სინიდისი ვასკას მეტ ბარგად აჰკიდებია და სიცოცხლეს უშხამავს, არაფერში პატრონს არ ეთანხმება. როცა ვასკა იღვიძებს, ის სწორედ მაშინ არის ძილის ქეიფზედ და იღვიძებს მაშინ, როცა ვასკას დაეძინება. გაახელს თუ არა დილით ვასკა თვალებს, ეს უბადრუკი სინიდისი ღრმა ძილს ეძლევა და საღამომდის თავისს პატრონს სულ სამარცხვინო საქმეზედ ატარებს. საღამოს-კი, როცა ვასკა განისვენებს დღის ვარამით მოქანცული, სინიდისი თვალებს აჭყეტს და პატრონს მოსვენებას უკარგავს: ხან სარჩობელაზედ აჰყავს მძინარე ვასკა, ხან სიკვდილს წამოაყენებს თავზედ საზარელი ლანდის სახით, ხან ბეწვის ხიდზედ ატარებს, რომლის ქვეშ შავად ლაპლაპებს კუპრის მორევი, ხან ადიდებულს მდინარეს აძლევს პირში თავზარ დაცემულს ვასკას და ხან ზღვის ტალღებს. ხან კიდევ მოუყრის თავს ვასკას მიერ დაბრიყვებულს საწყლებს და ვასკაც ზედნადებით უბრუნებს იმათ წანართმევს, ყველას პატიებას, შენდობას ემუდარება. აგერ ვასკამ სულ დაარიგა, რაც ებადა, მაგრამ რამდენიმე ბეჩავი მაინც არ შორდება იმის კარებს. ესენი ისეთ შეურაცხყოფას უჩივიან, რომელიც ფულით არ გამოისყიდება. ერთი მათგანი, რომელსაც შესამჩნევად აღბეჭდია სახეზედ ვასკას ხელის შენახები, სამართალში ითხოვს უკანასკნელს და ასე გასინჯეთ თოკიც-კი მოუმარჯვებია ვასკას შესაკრავად. ვასკას ცრემლი მოერევა, ფეხებში ჩაუვარდება უსამართლოდ შეურაცხყოფილს და ქვითინს დაიწყებს. ამ დროს ცოლი აღვიძებს და ტირილის მიზეზს ჰკითხავს. ვასკა დაწვრილებით უამბობს ყოველსავე საყვარელს მეუღლეს, რომელიც სიზმრებში ქმრის გაბედნიერების ნიშანს ხედავს. ბევრი შეწუხება უნახავს ვასკა'ს ამ სიზმრებისგან, მაგრამ ყველაზედ ჯოჯოხეთი ღამე ერთხელ გაუთენდა, როცა ამ კვიმატმა სინიდისმა ჩვეულებრივზედ ადრე გაიღვიძა. აი საქმე რაში იყო: ტიტოს დიდის წვალებით და დაგვით რამდენიმე ასი ცალი წიგნი მოეგროვებია და ამით ცდილობდა საბეჩავოში მკითხველი მოეპოვებინა. წიგნისათვის არავისა სცხელოდა, რადგან საბეჩავოს მკვიდრთა უმრავლესობისათვის სხვა-და-სხვა ჯურის მხვრელ-მძოვნელებს მთავარი სული უკვე ამოერთმიათ და მარტო ის სული-ღა დაეგდოთ, რომელიც ძნელად თუ მოიცლის მაღალის მოთხოვნილებისათვის. ვასკამ სწორედ ეს გარემოება დაიხვია ხელებზედ და ტიტოს შესახებ უშველებელი მოხსენება შეხანხლა, რომელშიაც ტიტოს საეჭვო შინაარსის წიგნების გავრცელებას აბრალებდა. ამ დასაბეზღებელს წერილში, სხვათა შორის, მოხსენებული იყო რაღაც პრტყელ ქუდიან და გრძელ თმიან კაცებზედ, რომელნიც ვითომ ტიტოსთან ერთად რაღაც ვასკასათვის გაუგებარს საგნებზედ მასლაათობდნენ. ვასკამ უსაბუთო საბუთებით ისე დაახასიათა ტიტოს მოღვაწეობა და საკუთარის ოცნების ნაყოფი პრტყელ-ქუდიანი კაცები, რომ საბეჩავოს დარაჯი შეცდომაში შეიყვანა და უკანასკნელმა საჭიროდ დაინახა ტიტოს თავიდგან მოშორება, რათა არ შერყეულიყო ქვა-კუთხედი საბეჩავოს მყუდროებისა, ვასკამ სწორედ დაწოლის წინად მიიღო ცნობა ტიტოს შეპყრობის შესახებ და პირველად იგრძნო სიფხიზლეში ამის გულმა რაღაც მოუსვენრობა.

ღამის რვა საათი იქნებოდა. ეკკლესიის დარაჯმა ზარს შემოჰკრა და მით აუწყა სოფელს თვისი საყარაულოზედ მისვლა. ზარის ხმაზედ ვასკამ პირჯვარი გამოისახა; მოაგონდა მას, რომ დღეს ზიარება მიიღო, მოაგონდა ზიარების ლოცვის სიტყვები: „არა ამბორს გიყოფ, ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკი აღგიარებ შენ“. სინიდისმა ერთობ ძლიერად დაუწყო ამ ჟამად ქენჯნა. „არა, რას ვერჩოდი იმ საწყალს?“ დაეკითხა ვასკა თავისს თავს და ამ საკითხავმა ელვის სისწრაფით მოირბინა ყოველი კუნჭული ვასკას უბადრუკის სულის სადგურისა, და ბოლოს ჩამოჰკრა იმ ზარს, რომლის ჟღერა თვით იუდა-გამცემლისათვისაც-კი აუტანელი შეიქმნა.

ვასკას წარმოუდგა ფერ-მიხდილი რუსის ფარაჯაში გახვეული ტიტო ცივსა და ნესტიანს სატუსაღოს უსინათლო ოთახში, წარმოუდგა სხვა კიდევ ამგვარივე შარების მსხვერპლი, ამის გონების თვალთა წინაშე გაიარა მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილის, ჯოჯოხეთურის შრომისაგან უდროვოდ მოტეხილის მისგან განწირულის ნაამხანაგარის აჩრდილმა, რომელსაც სახეზედ საშინელი საყვედური და წყევა ჰქონდა აღბეჭდილი, პირი თითქოს ამ სიტყვების სათქმელად დაეღო: “შეჩვენებულო!„რა გიშავდა,

*) იხ. „ივერია“ № 192.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესმის მას თავისი მოვალეობა და დანიშნულება!

„აქ მისის ბიოგრაფის სიტყვით, გაბრიელის გული და სული, მთლად არსება მისი, არის გამსჭვალული მხოლოდ ერთის მისწრაფებით, ერთის სურვილით — დალიოს დღენი თვისნი მოძმეთა, მოყვასთა და ყოველთათვის“. თვისის შესანიშნავის მჭევრმეტყველურის ქადაგებით, თვისის მართლა წმიდა ცხოვრებით და მაგალითით, გაბრიელი ლამპარივით უნათებს გზას თვისს სამწყოს და აჩვევს მას ნამდვილ ქრისტიანულ ცხოვრებასა და ურთიერთობას. . . მან კარგად შეისწავლა ნაკლულევანებანი თვისის სამწყსოსი და შეუპოვრად შეებრძოლა მათ... ჭმუნვაშიაც, სიხარულშიაც იგი ნამდვილი მამაა თვისს უბედურთა და ბედნიერთა, ღარიბთა და მდიდართა, განათლებულთა და უმეცართა შვილთათვის და ამიტომაც ადვილად გასაგებია ის სიყვარული და ღრმა პატივის ცემა, რომელიც დაიმსახურა ერისაგან ეპისკოპოსმა გაბრიელმა.

სამწუხაროდ არ შეგვიძლია აქ ჩამოვთვალოთ თითოეულად ყველა ის საგანი, რომლის შესახებ ესაუბრა მღვდელ-მთავარი თვისს სამწყსოს. უნდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ ძნელი მოსაპოვებელია ისეთი თვისება, ან მოქმედება, ან ჩვეულება ჩვენის ერისა, რომლისა გამო გაბრიელს არ ექადაგნა და არ ემოძღვრა. აქ მარტო ზნეობრივს მხარეს-კი არ აქცევდა ყურადღებას სახელოვანი მღვდელ-მთავარი, არამედ ყოველ მხრივ ეხებოდა ქვეყნის ცხოვრებას. იმპერატორის პეტრე დიდის გამოჩენილ თანაშემწე მქადაგებლის თეოფანე პროკოპისძესავით, იგი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მთავრობის მოღვაწეობასაც და ყოველს კარგსა და მნიშვნელოვანს რეფორმას აღნიშნავდა თვისის ქადაგებითა და სიტყვით. მაგალითად, გაბრიელმა მსმენელთ განუმარტა თავისს ჴდროზედ ბატონ-ყმობის მოსპობის საჭიროება, ახალის სასამართლოების მნიშვნელობა და სხვა...

ღირსება მის ქადაგებათა კარგა ხანია დაფასებულია რუსულსა და უცხო ენებზედაც; ინგლისელებმა კიდეც გადასთარგმნეს გაბრიელის სიტყვანი.

მღვდელ-მთავარი გაბრიელი ცნობილია აგრეთვე, როგორც გამოჩენილი მისიონერი, მისის სწავლითა და ღვაწლით მოინათლა ძლიერ ბევრი აფხაზი.

ოც-და-თხუთმეტი წელიწადია რაც ეს შესანიშნავი კაცი თავისის უმაღლესის ზნეობით, სათნო ცხოვრებით განათლებულის გონებით, დიდის ნიჭით, დაუღალავის შრომითა და ენერგიით ემსახურება ქვეყანას, ებრძვის უმეცრებასა და უწესოებას! მასწავლებელი, მწერალი, მქადაგებელი, მისიონერი, ადმინისტრატორი — ყველგან და ყველა სფერაში ერთნაირად გამსჭვალული მოყვასისადმი სიყვარულით, გაბრიელი შესანიშნავის რწმენითა და გულ-წრფელობით ემსახურება თავისს სამშობლოს.

მართალია გაბრიელის ზოგიერთ პოლიტიკურს შეხედულებას ძნელად-თუ დაეთანხმება კაცი, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მას ეღალატოს ერთს წუთს მაინც თვისის რწმენისათვის და გარდაეხვიოს ერთხელვე არჩეულ გზიდგან.

ვაბოლოვებთ ამ წერილს ბიოგრაფის სამართლიანის სიტყვით: «მღვდელ-მთავარი ჭეშმარიტად დაუღალავი, თავ-გადადებული მებრძოლი თავისის სამწყსოს სასიკეთოდ, არის ჭეშმარიტების, სიმართლის დამცველი, მავნეთა თვისებათა-კი შეუწყალებელი მამხილებელი. ეს მეტად მძიმე შრომა მისი ჰსაზრდოებს მხოლოდ მისის განუსაზღვრელის სიყვარულითა თვისის სამწყსოსა და მოყვასისადმი: ამ სიყვარულში ჰხედავს მღვდელ-მთავარი ნუგეშს; ეს სიყვარული ამხნევებდა და ამხნევებს ამ ჩვენის ეკკლესიის მნათობს; ამგვარს სიყვარულს თხოულობდა იგი პირველსავე თვისს ქადაგებაში სამწყსოსა და განსაკუთრებით თავისს მახლობელ შემწეთაგან».

ლალი.

# ახალი ამბავი

—

*** ქუთაისის ქალაქის მოურავი ლოლუა გვატყობინებს: «ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის იუბილეს დღესასწაული, რომელიც დანიშნული იყო 8 სექტემბერს, გადადებულ იქმნა იუბილარის ავადმყოფობის გამო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი გუშინ-წინ, 6 სექტემბერს, დაბრუნდა ტფილისში.

*** ქართულის დრამატიულის დასის წარმოდგენები დაიწყება 24 სექტემბერს. წარმოდგენილი იქნება ქ 6 ჩხეიძის სადებიუტოთ თავ. სუმბათაშვილის პიესა „ბორკილი“.

*** ტფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებელი დ. ს. ს. სმიტტენი უკვე დაბრუნდა ორის თვით დათხოვნის ვადის გასვლის შემდეგ და ამ მიმდინარე თვის 5-გან თავისის თანამდებობის აღსრულებასაც შეუდგა.

*** როგორც გაზეთ „კავკაზ“-ს შეუტყვია, სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი პ. ს. ვანნოვსკი, რომელიც ამ ჟამად აბასთუმანშია საექიმოდ, განმრთელების შემდეგ რამდენიმე ხნით ტფილისში ჩამოვაო, რისთვისაც უკვე სახლს ეძებენო.

*** „ნოვ. ობოზ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: ხმა დადის, ვითომც შავის ზღვის ნაპირის დასახლების საქმე კიდევ გადიდვაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში ჩამოუყვანიათ მიხეილის სამკურნალოში გლეხი, რომელიც პამპალოვის ქალის მოტაცებაში დასჭრეს. ეს ჭრილობების მიუხედავად ამ ხანად იმდენად კარგად არის, რომ დაუხმარებლად შეუძლიან სიარული.

*** პოლიციის მეხუთე ნაწილში კვირაცხოვლის ქუჩაზედ არის დარჩენილი კვირაცხოვლის ეკკლესიის ნიში. ამ ჟამად ეს ნიში, მოუვლელობის გამო, თან-და-თან ძველდება და ინგრევა; მაგრამ მოუხედავად ამისა, კვირაძლობით აქ ხალხი მუდამ მოდის, სანთლებს ანათებს და ლოცულობს. ხოლო ეხლა მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული და სანთლის ისე დანთება არ შეიძლება, რომ ცეცხლი არ გაუჩნდეს: შარშან მაგ. ნიშს ცეცხლი გაუჩნდა, პირბადი დაეწვათ ხატებს და რამდენიმე ხატიც დაიკარგა.

ამბობენ, რომ აქ უწინ ეკკლესია ყოფილა და თათრებს მოუოხრებიათო.

კარგი იქნებოდა, ჩვენმა სასულიერო წოდებამ ამ ნიშს ყურადღება მიაქციოს და მით არ დაგვიკარგოს ჩვენის სამშობლო ეკკლესიის ძველი ნაშთი.

*** ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ წელს საერთოდ ყველაფრისა ცუდი მოსავალიაო. ვენახების დაზარალებას ვჩიოდით, მაგრამ ახლა სხვაც გაგვიხდა საჩივლელად. სიმინდის მოსავლის იმედიც სრულიად აღარა გვაქვს, რადგან ამ ბოლო დროს სულ ერთიანად გააფუჭა მეტის-მეტმა სიცივეებმაო.

*** კავკასიის სამეურნეო გაზეთს თელავიდგან სწერენ: კახეთის ვენახები წელს ერთობ გააფუჭა ნაცარმა და მილდიუმ. ერთს სალს ვენახს ვერ იპოვით მთელს კახეთში. თვით საუფლის-წულო ვენახებიც-კი ვერ ასცდა ავადმყოფობას. იქაც მიუხედავად სალი ფოთოლისა, ალაგ-ალაგ ყურძენი შენაცრულია. ხილი ხომ სრულებით არ მოვიდა. თივა ბევრია, მაგრამ ესეც დააზიანა ხშირმა წვიმებმა. რაც შეეხება ხორბლეულის მოსავალს, ნამეტანი ბევრი შეკრიბეს, მაგრამ გამოსავალი — ცოტა ჰქონდა. მარცვალი დამშეულია და წვრილი, ერთად-ერთს შირაქის მინდორზედ მოვიდა პურის კაი მოსავალი. სიმინდი ალაზანს გაღმა კარგია, სხვა ადგილებში საშუალო.

ამ დღეებში ბ. ვიტმერი იყო კახეთში. როდესაც მან ვენახები დაათვალიერა, ის გაკვირვებული დარჩა ამერიკულის ვაზის სისაღით საუფლისწულო მამულებში.

თუ ჩვენში ამერიკულმა ვაზმა კარგად იხეირა, მაშინ აღარ უნდა გვეშინოდეს ფილოქსერისა. მართალია ჯერ კახეთში არსად არ ამოუჩენიათ ფილოქსერა, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს. ამიტომ კარგი იქნება ეხლავე ვაშენებდეთ ამერიკულს ვაზს.

*** ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ უკანასნელს დროს დუშეთში მიწის პატრონთა შორის ხშირად ხდება უსიამოვნება. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ ადგილებში მიჯნები აღარ ემჩნევა. მეპატრონენი კვლავ ავლებენ საზღვარს და ხშირად ვერ მოშველდებიან ხოლმე. კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ხანდისხან გაგზავნოს ხოლმე მიწის მზომელნი საზღვრების აღსადგენად, თორემ ხშირად მემამულეთა შორის უთანხმოებას ცუდი ბოლო მოსდევს.

*** ტფილისის საზალოსნო სკოლაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 15 სექტემბერს. როგორც გაზ. «კავკაზს» შეუტყვია, თავისუფალი მისაღები ადგილი სულ 14-ია; მიუხედავად ამისა სკოლაში შესვლის მსურველი ძალიან ბევრია. როგორც უკვე იწერებოდნენ, სკოლის გამგემ ბ-ნმა კლაუსენმა სამსახურს თავი დაანება; ერთ-ერთ კანდიდატად, როგორც გაზეთ „კავკაზ“-ს გაუგონია, ბ ნს დარეჯანაშვილს თურმე ასახელებენ, რომელიც წინად სამოსწავლო უწყებაში მსახურებდა ერთს დროს.

## ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელ ეპისკოპოსი *).

ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელ ეპისკოპოსი, ერობაში გერასიმედ წოდებული, დაიბადა ს. ბახვში 1825 წ. მისი მამა მაქსიმე ქიქოძე იყო ამავე სოფლის მღვდელი. გერასიმეს, როგორც თითონ ამბობს თავისს **) „მოგონებაში“ დედა ადრე მოუკვდა.

*) ვრცელი ბიოგრაფია ჟურ. „მოამბის“ აგვისტოს ნომერშია დასტამბული.

**) „Мои воспоминанія“, რომელიც ჯერ არ არის დასტამბული.

რომ მეც სწავლის მაცოცხლებელი სხივი მეგრძნო, მეც ადამიანებში გამოვრევულიყავი?“ დიაღ, წარმოუდგა ეს ყველაფერი და ამ წარმოდგენამ პირველად შეაკრთო გამეხებული ვასკა. „არა, საიქიოს რომ შემრჩეს ამდენი ვერაგობა, საიქიოს-კი გაიტანს თავს ასეთი საზღვარ-დაუდებელი ფარსაგობა? ამ სოფელშივე არ ჩამიწყდება განა ხიდი, თუ ზომაზე მეტი ტვირთი ავიკიდე?! დაეკითხა კვლავ თავის-თავს და მოუსვენრობით მოჰყვა ოთახში ბოლთას ცემას. ბოლოს, როგორც იყო, ძილი გადმოვიდა მხსნელად, მაგრამ ძილი მეტად მოუსვენარი აიასგვარის მოჩვენებით სავსე. ყოველი მოჩვენების შემდეგ თავ-ზარ-დაცემული ვასკა წამოიჭრებოდა და ერთად-ერთს სიზმრის წიგნს თავისს საყვარელს მეუღლეს მიმართავდა, რომელიც ყველა სიზმარს სასიკეთოდ უხსნიდა. ყველაზედ ახირებული სიზმარი ვასკამ განთიადისას ნახა. ნახა, რომ ვითომ ის სიკვდილის პირად მიიწურა და ქალაქიდგან საგანგებოდ დაბარებულმა ოთხმა ექიმმა ჭირისუფალს იმედი მოუსპო ვასკას მობრუნებისა, ესმის ვასკას ექიმების განაჩენი, უნდა სთქვას, რომ მაგათ არა იციანრა, სხვა ექიმები მოიყვანეთ, საცხოვრებელი მიეცითო, მაგრამ ენა არ ემორჩილება. აგერ მას დაადგა საზარელი სანახავი ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც ცალს ხელში ცელი უკავია და მეორე ხელის ჩონჩხით სანახევროდ გათხრილის საფლავისკენ უთითებს. სარეცელის გარეშემო ბევრი კიდევ სხვა შავი ლანდები იგრიხება. გარედ მეზობლებს მოუყრიათ თავი და დასაფლავების თავდარიგს აწყობენ. ვასკა თრთოლამ აიტანა, მოიკაკვა, თავს საბანში ჰყოფს, უნდა დაემალოს სადმე სასთუმალთან ატუზულს ჩონჩხს, უნდა სთხოვოს ღმერთს რამდენიმე წლის სიცოცხლე კიდევ, ვითომ და ცოდვების მოსანანებლად, მაგრამ ენა არ იძვრის, საზარელი მოჩვენება არ შორდება და სულ საფლავისაკენ უთითებს. აგერ საკაცე მოიტანეს (კუბო რაღაც ანგარიშით არ გაუკეთეს), დაუდვეს საკაცეზე ცოცხალ-მკვდარი ვასკა და საფლავისაკენ გააქანეს. წარმოიდგინეთ ვასკას გაოცება, როცა ტირილისა და გლოვის ნაცვლად სიცილხარხარი ესმის. ვასკამ თავი წამოსწია საკაცეზე, რომელიც ექვს მისს თანამოსაქმეს ეჭირა და თვალი გადაავლო კორტეჟს. ყველა ნათისავებიც-კი სადღესასწაულოთ მორთულა, ყველას ტუჩზე ღიმი უქრის, ოთხს მისს განუშორებელს ცრუმოწმეს დაფნის გვირგვინები დაუთითოებიათ და ხელით მოაქვთ. ქარმა წამოუბერა და გვირგვინებზე მიკრული აბრეშუმის ლენტები გამოაფრიალა. ვასკამ ამათი ზედ-წარწერა ამოიკითხა:

საბეჩავოს მიწის მომქმედთაგან.<br>
სხვისის კვნესის არა მცოდნეს<br>
ტანჯვით, კვნესით აგავსებენ;<br>
ჩვენი ძარცვა რებევისა წილ<br>
ეშმაკები გაკვნესებენ.

—

საბეჩავოს მოსწავლეთაგან.<br>
ბნელის მომხრეს, სინათლის მტერს<br>
სიცოცხლეში ცრუდ გიწირავს,—<br>
ბევრი ღვარძლი გითესია,<br>
ბევრი მოძმე გაგიწირავს.<br>
ამდენი ავის მომქმედსა<br>
აბა ხელში რა გიჭირავს?<br>
უბადრუკი შენი სული<br>
ქაჯისთვის რომ შეგიწირავს.

—

ნაცნობთა და მეგობართაგან.<br>
მეგობრობაში უნდოსა<br>
სული, ხორცი წაგიწყმდება;<br>
კუპრის ტბაზე მიმავალსა<br>
ხიდი უნდოთ ჩაგიტყდება.

—

საბეჩავოს მოვაჭრეთაგან.<br>
არ შეგვიდრკე მსჯავრისა წინ,<br>
გული, სენკავ, მაგრად გქონდეს.<br>
ჩვენ არ გვჯერა, რომ იმ სოფლად<br>
ქურდის ქურდი არა ცხონდეს.

—

უკანასკნელმა წარწერამ ვასკას სიცილი მოჰგვარა, მაგრამ მან ვითომ და სულის შესაკავებლად ძალზედ მოკუმული პირი მაინც არ გააღო. აგერ ჩაუშვეს საფლავში. ვასკა გულზედ სქდება, რომ ცოცხალია და კაცს არა სჯერა; ამდენი ადამიანის გაციმბირება შეუძლია ცოცხალ ადამიანის დამარხვისათვის, მაგრამ ენა ვერ დაუზრავს, ხელი საჩივრის დასაწერად არ ემორჩილება. მიწასაც დაუწყეს ყრა. ვასკა შიშმა აიტანა, თუმცა წამოდგომის იმედს მაინც არ ჰკარგავს, მაგრამ დახე უბედურებას!.. მიწას ერთი მოზრდილი ქვა მოჰყვა და სწორედ თავის პირდაპირ წამოვიდა. ვასკამ ღონივრად გადიქნია თავი, რომ მისი ბედის გადამწყვეტი ქვა აიცდინოს, თავს ტანიც მიჰყვა და როცა ვასკას გამოეღვიძა, ის ტახტიდგან ნახევრად გადმოკიდული ფეხებით ეჭირა მისს საყვარელს მეუღლეს. ვასკამ ეს სიზმარიც დაწვრილებით უამბო ცოლს, რომელმაც ამ სიზმარშიაც ვასკას გაბედნიერების ნიშანი ნახა. „ავადმყოფი კაცი თუ მკვდრად გეზმანა, ეს მისი მორჩენის მომასწავებელია და კარგად მყოფი თავი თუ ასე გესიზმრა, ის ხომ სრულს შენს ბედნიერებას მოასწავებს“, უთხრა ცოლმა და ვასკამაც გული დაიმშვიდა. ის ისევ ძველებურად ფარსაგობს. ამაოდ ელის სრულს გაბედნიერებას და ამაოდ აუბედურებს ცაში მართალს კაცებს. მოასწრებს თუ არა ნათელი ამისს ფარსაგობას? ამისი პასუხი ტიტომ მოგვცეს, რომელიც ეს-ეს არის გამართლდა ვასკას მიერ შეთხზულს დანაშაულობაში და ისევ საბეჩავოში ტრიალებს.

შუბნელი.

მამა მისს ბევრი შვილები ჰყავდა და როგორც თვით ღვთის მოყვარე კაცი შვილებსაც ღვთის სიყვარულში ზრდიდა. იმ დროს ბევრნი სწავლობდნენ წერა-კითხვას ღვდლის სახლში. მაქსიმე მღვდელსაც ჰყავდა ამისთანა მოწაფეები და აი მათ შორის გერასიმემ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. მაქსიმე იყო აგრეთვე გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის მოძღვარი, რისთვისაც ის ხშირად დადიოდა ოზურგეთში და თან მიჰყავნდა პატარა გერასიმეც. აქ მაშინ რუსის ჯარი იდგა და გერასიმემ პირველად აქ გაიგონა რუსული ენა. მე და ბევრს სხვა ჩემს ტოლ ოზურგეთელს ბავშვებს დიდად შეგვიყვარდა რუსის ჯარის-კაცებიო, ისინიც ალერსიანად გვექცეოდნენ, გვეფერებოდნენ, ხშირად თავიანთ შავ პურსაც გვაძლევდნენო", ამბობს ყოვლად-სამღვდელო.

მისი მამა ამ რუსის ჯარს ულოცავდა ხოლმე, თვითონ ქართულად ასრულებდა წესს, ხოლო დიაკვნად-კი რუსი ფეთჭებელი იყო. გერასიმეც იდგა ხოლმე ეკკლესიაში და გულ-მოდგინებით უგდებდა ყურს ფეთჭებელის კითხვას. ბოლოს ეს ფეთჭებელი მამა მაქსიმეს თხოვნით შექნა გერასიმეს რუსულის ენის მასწავლებლად. გერასიმე ძლიერ ცელქი ყოფილა პატარაობისას, რისთვისაც ფეთჭებელი, როგორც თვითონ ამბობს, ყოვლად უსამღვდელოესი, მიაბამდა ხოლმე ძაფით მაგიდაზედ. მიუხედავად ამისა, გერასიმემ მალე შეისწავლა რუსული წერა-კითხვა და თავისს მამას წირვა-ლოცვაზედ ეხმარებოდა. რადგანაც ბავშვმა ამისთანა ნიჭი გამოიჩინა, მისმა მამამ გაბედა და წაიყვანა იგი სხვა შვილებთან ერთად ქ. ტფილისში სემინარიაში მისაცემად. აქაც ის კარგად სწავლობდა. აქედგან ერთმა რუსმა მასწავლებელმა ის გადაიყვანა პეტერბურგის სემინარიაში. სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ გადავიდა სასულიერო აკადემიაში. „ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, ამბობს ყოვლად სამღვდელო, როცა სასულიერო აკადემიის სტუდენტების ამხანაგობის წრე ერთად მოგროვდებოდა და ნამდვილის ყმაწვილურის მოგონებით დაიწყებდნენ იმ ოცნებას, თუ რა თავ-განწირვით შევებრძოლებით ქვეყნის ჭირსა და ვარამსო"... აქ იგი იცნობდა აგრეთვე საქართველოს მეფის ძეს მიხეილს, კაცს ფრიად განვითარებულსა და ფილოსოფიის მოყვარულს. მეფის ძე მიხეილს დიდი გავლენა ჰქონდა გერასიმეზედ. „ბატონიშვილის ნათელმა მსჯელობამ მეც უფრო ნათლად და გარკვევით შემაგნებინა ეს საგანი (ფილოსოფია) და წამახალისა შემესწავლა რიგიანად და შეგნებით და არა ისე უაზროდ, უსულოდ და მშრალად, როგორც გვასწავლიდა ჩვენის აკადემიის მაშინდელი პროფესორი ნემეცი, რომლის გვარი ახლა აღარ მახსოვს" ამბობს ყოვლად უსამღვდელოესი. გერასიმე ქიქოძემ აკადემიაში სწავლა დაასრულა 1849 წელს, და მაშინვე დანიშნულ იქმნა ტფილისის სემინარიის ინსპექტორად და თანაშემწედ რექტორისა ღვთისმეტყველების სწავლებაში. შემდეგ წლებში მიიღო მაგისტრობის ხარისხი, დიდი ნიჭი, მხნეობა და საქმის სიყვარული გამოიჩინა მასწავლებლობის დროს, მაგრამ მისს სულიერს წყურვილს მარტო მასწავლებლობის ასპარეზზედ მოღვაწეობა ვერ აკმაყოფილებდა. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მის გულში ღვთისადმი სიყვარული ღრმა ფესვს იდგამდა და 1854 წელს ეკურთხა მღვდლად, ამავე დროს იყო მასწავლებლადაც. 1856 წელს დიდი უბედურება ეწვია გერასიმე მღვდელს; დაეხოცა ცოლშვილი, რის შემდეგაც იგი ბერად აღიკვეცა გაბრიელის სახელით. 1858 ეკურთხა არხიმანდრიტათ და ებოძა დავით გარეჯის მონასტერის წინამძღვარობა. ამავე წელს გახდა გორის ეპისკოპოსად და ვიკარად. ამასთანავე დანიშნულ იქმნა ქართლ-იმერეთის უწმიდესის სინოდის კონტორის წევრად და შუამთის უდაბნოს წინამძღვრად. 1860 წელს გადმოიყვანეს იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად. და აი ეს ოც-და-თხუთმეტი წელიწადია, რაც სათნოებით სავსე სიყვარულით გამსჭვალული შემკული მაღალის ნიჭით და კეთილ შობილურის გრძნობით დაუღალავად ემსახურება იგი თავისს სამწყსოს.

---

## კორესპონდენცია.

**ზაქათლიდგან.** აგვისტოს 25-ს ყაჩაღებმა თავი იჩინეს ზაქათალის ოლქშიაც, ზაქათლიდგან ერთი ვერსის სიშორეზედ. ავაზაკნი ყოფილან რიცხვით 6 კაცამდე. ისინი ყოფილან ჩასაფრებულნი იმ ალაგას, რომელსაც ვახუშტი ეძახის თავისს გეოგრაფიაში „ფიფინეთი." აქ ძველად ქართველების სოფელი ყოფილა. მათგან არის დარჩენილი ფიფინეთში სამი ეკკლესია. ერთი უნდა ყოფილიყოს „ჯვართ ამაღლების" სახელობაზე აშენებული, როგორც ეტყობა გარედგან ჯვარივით ფრთებ გაწეულ კუთხეებითა, მეორე დაბალი ეკკლესიაა, მაგრამ კარგა მოზრდილი. იატაკი ამ ეკკლესიისა კირით ყოფილა გადალესილი, რომელიც აქამდე კარგად არის შენახული. იატაკს ქვეშ მეორე ეკკლესია მოჩანს, გაყოფილია ორად, შუაზე გავლებულ ქვიტკირით, რომელზედაც დამყარებულია იატაკი ეკკლესიისა. ორივე ნაწილს ერთი, მრგვლად იატაკზე ამოჭრილი ჩასავალი აქვს ერთის საჟენის ოდენა. ერთ მხარეს გდია მრგვლად გათლილი ქვა, სვეტის მზგავსი. ეს ქვა მაფიქრებს, რომ ძირს ორივე ამ ნაწილში ან სამარხი ყოფილა ან სამალავი ეკკლესიის ნივთებისა და განძისა. მით უფრო უმეტეს ეს აზრი მართალი მგონია, რომ ამ სამის წლის წინად ზაქათალაში მცხოვრებმა ქართველებმა გავიარეთ აქეთკენ, ვნახეთ ეს ეკკლესია და ერთმა მოხუცმა ლეკმა გვიამბო, რომ ეკკლესია დიდი ხანი არ არის, რაც ქართველებს დაუტოვებიათო. „ფიფინეთის მცხოვრებნი ქართველნი ზოგნი რომ აყრილან და წასულან აქედგან, ზოგნი გალეკებულან, მაშინ ეკკლესიის მცველად დარჩენილა ერთი ქართველი სახელად ზაქარია, სთქვა ლეკმა. ამას უცხოვრია აქ ჩვენ ლეკთა შორის, ხოლო სჯული-კი არ გამოუცვლია. იმას უსწავლებია ლეკებისათვის ბუზმენტების ხმარება. ის აკეთებდა ბუზმენტებს და ყიდდა თალალელ ლეკებშიო".—სადა შოულობდა ის ზაქარია ქართველი ბუზმენტის გასაკეთებელ მასალასაო, ვკითხე მე. ეგ არ ვიციო" მიპასუხა. —ეტყობა ზაქარია, როგორც მნათე, არღვევდა ეკკლესიის ფილონებს და იმით აკეთებდა ბუზმენტს. ან ვინ დაუშლიდა მას ასე არ მოქცეოდა ეკკლესიის ქონებას. აქ აღარავინ ყოფილა იმის მეტი და იმასაც უშიშრად უოხრებია ისტორიული სიმდიდრე ქართველთა ერისა. ეტყობა გავლენაცა ჰქონია მას ლეკებზედ. ამბობენ, რომ ამ ზაქარიას ეკუთვნოდა ის მიწაცა, საცა ეხლა ქ. ზაქათალაა. „მისის სახელისა გამო დაერქვა ქალაქს სახელად „ზაქარიას თალა" ანუ ზაქათალა, ამბობენ ზოგიერთნი".—ფიფინეთის ნაწილი ყოფილა ვახუშტისაგან ხსენებული „წინუბანი"-ცა, რომელსაც აწ ლეკები ეძახიან „წილუბან".—ხსენებულ ეკკლესიების გარდა ფიფინეთის მთაში არის თურმე კიდევ სხვა ეკკლესია. ის, ვგონებ, უნახავს 1893 წელს ბ. ხახანაშვილსაც. სომეხმა სტეფანე ყარაქეშიშოვმა მიამბო შემდეგი: „რამდენიმე წლის წინად ლეკებმა მითხრესო, რომ იქ ხაზინა არის, გვსურს ამოვიღოთ, მაგრამ თუ ერთი ქრისტიანი მაინც არ დაესწრო იმის ამოღებას, ეკკლესია გაგვიწყრებაო. ამისათვის მთხოვეს წავყოლოდი. მივედით, ჯერ დაჰკლეს მამალი, მერე დაიწყეს თხრა ეკკლესიის გარეთ. ღრმად მიწაში აღმოჩნდა საფლავის ბრტყელი ქვა ქართულის ზედ წარწერით, გადააგორეს ის და აღმოჩნდა აკლდამა. იქიდგან ამოიღეს ერთი ჯვარი ოქროსი ძეწკვით. იმის მეტი არა იყო-რა ნივთი, მაგრამ ადამიანის ძვლები-კი მრავლად სჩანდა სამარეში. ოქროს ჯვარი ლეკებმა ნაწილ-ნაწილად დაამტვრიეს და გაიყვეს; მეც მაძლიეს, მაგრამ მე არ ავიღე, რადგან ეკკლესიას ეკუთვნოდაო".

ამ ხსენებულ სამთა ეკკლესიათა შუა ბუდობენ ახლა ავაზაკნი. იქ ქართველობა აღარ არის და ლეკები ჩვენთა მამა-პაპათა ძვლებსაც აღარ ასვენებენ სამარეებში. როცა წარსულს ამ არე-მარეს ქართველთა სიცოცხლე სდუღდა, მაშინ ჩვენნი მკვდარნიც ნეტარად განისვენებდნენ; ახლა-კი აღარც ლოცვა-ვედრებაა, აღარც მკვდართა ხსენებაა და აღარც მფარველობა ძველთა ისტორიულ ნაშთებისა: ლეკებმა ყოველგან წაატანეს ხელი და ამსხვრევენ, ანიავებენ და მიწასთან ასწორებენ ყოველივეს, რასაც-კი ქართველთა ისტორიის კვალი ამჩნევია. სამარეზედ ნახული ქვაც დაუმსხვრევიათ.

მაგრამ სიავე არავის შერჩენია და არც შერჩება ვისმეს. აკი ასეც არის. თალალიელნი ლეკნი, რომელნიც უპატიოდ ეპყრობიან ძველებურს ეკკლესიებს, არა რჩებიან დაუსჯელად. ღმერთი იმათ სჯის თავიანთ მოძმეთა ხელითვე. ზემოხსენებული ავაზაკები იგივე ლეკები არიან. ისინი სცხოვრობენ ფიფინეთის მთებში და უდარაჯებენ გამვლელ-გამომვლელს. ვინც-კი მიიტანს იმათზედ იერიშს, ვერ გადურჩება სიკვდილს. აკი ასეც მოხდა 25 აგვისტოს, პარასკევს. ამ დღეს თურმე ერთმა ჯაშუშმა შეატყობია ს. თალის მამასახლისს, მლოცველს მეჩითში, რომ ფიფინეთის ხევში ყაჩაღები ბუდობენო. იმან მაშინ გამოიყვანა მლოცველი ლეკები მეჩითიდგან მდევრად ავაზაკებისა. მივიდნენ ფიფინეთის ხევთან ტყის პირას, მაგრამ ავაზაკებმა შეაყენეს ისინი, დააყარეს სეტყვასავით ბერდანკის ტყვია, ერთი მოჰკლეს, მამასახლისს ქუდი გაუხვრიტეს ტყვიით, დააგდებინეს მათრახი და აკადრებინეს თავისს ხალხით ზაქათალას გაქცევა. შეიტყო აქაურმა ბოქაულმა, გამოუდგა თავისს ჩაფრებით, უკან მიჰყვა მას ოლქის უფროსის თანაშემწეც, მაგრამ ვეღარ იპოვეს ვერც ავაზაკები და ვერც მათი კვალი და შემობრუნდნენ მშვიდობიანად სახლსა შინა თვისსა დამედებულნი, რომ გავაქციეთ ავაზაკნიო. მაგრამ ისინი თურმე ბუდობენ ზაქათალის არე მარესვე და ღამ ღამობით უფრთხობენ ხალხს ძილს. იშვიათი არ არის ქურდობა და სახლების აკლება თვით ზაქათალაშიაც. ამ მახლობელს დროს ერთს სომეხს სახლში დაასხეს საფანტი მკლავში, რომელიც ექიმებმა, როგორც ამბობენ, ქ. ტფილისს დანით მოაგდებინესო. ერთმა კიდევ მებოსტნეს დაახალა თოფი და გააყრევინა სული.—ასე ჩვენშიაც არიან ვაჟკაცები.

მღ. დ. ჯანაშვილი.

19 აგვისტო, 1895 წ.

---

## „უკანასკნელი სიტყვის*) პასუხი**)

იყო ვინმე წიტრიკად წოდებული ადვოკატი, რომელსაც მთელი იურისპრუდენცია მამათ ჩვენსავით ჰქონდა გაზეპირებული და რომელიც ყოველ მარცხის შემდეგ „სუდიდგან" „ოკროჟნოი სუდში" გადადიოდა, იქიდგან პალატაში, პალატიდგან სენატში, სენატიდგან მეფესთან და მზად იყო მაღლა ღმერთთანაც ეგზავნა „ქვის გამხეთქი" არზები, წყეულ სიკვდილს რომ დაეცალებინა იქამდის, ვიდრე ცა და მიწას ჰაეროსტატის ფოსტით შეაერთებდნენ ყოვლად მეცნიერნი. აწ განსვენებულ წიტრიკას კარგად ესმოდა, რომ ცდა ბედის მონახევრეაო და ამიტომაც თავ-გამოდებით ცდილობდა გულ-გაუტეხლად: რა ვუყოთ, ერთგან თუ ჩემი შავი თეთრად ვერ გავიყვანე, ახლა სხვა კილო-ჰანგზე ვილაპარაკებ მეორედ, მესამედ, მეოთხედ და იმედია, ერთხელ მაინც კოჭი ალჩუ დამიჯდებაო.

მრავლადა რიან ქვეყანაზე აწ განსვენებულ წიტრიკას მზგავსნი კრიტიკოსებიც, რომელეიც ერთხელ რომ გამტყუნდნენ მოპასუხესაგან, მეორედ, მესამედ და მზათ არიან მილიონჯერად ილაპარაკონ ერთისა და იმავე საგნის შესახებ ათას ნაირ კილო-ჰანგზე, ოღონდ-კი თავიანთ სიმტყუნესიმართლედ მოაჩვენონ ზოგიერთებს მაინც. ამ კატეგორიის კრიტიკოსებს ეკუთვნის ბ-ნი ნ. ველისციხელიც. ჩვენ ვეუბნებოდით—ბ-ნი ველისციხელის სიტყვას „ვეუბნებოდით"-საც უმართებულოდ მიიჩნევს, კვლავ ცილს დაგვწამებს: უპატივცემულოდ მეკამათება „ცარიელი სიტყვებითაო" და ამიტომაც უკაცრაოდ: ჩვენ მაგალითებით მოვახსენებდით შემდეგს: ბატონო ნიკოლოზ, როდესაც სახალხო დეპო-ბანკი გძელ-მოკლე ვადით სესხულობს, თუ იბარებს ვისგანმე ფულს სხვა-და-სხვა გვარ საჭიროებისათვის, ადათი და წესია სარგებელიც სხვა-და სხვა ზომისა უნდა იყოს: დიაღ, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა საფინანსო მეცნიერებისა-მეთქი. ამაზედ ამიხირდა ანუ მდაბიურად რომ ვსთქვათ: ძველ ხურჯინივით გადამეკიდა: სხვა-და-სხვა-კი არა, ერთნაირი უნდა იყოს სარგებელი, როგორც მე გიბრძანებთო!.. ეს რა ამბავია: რამდენჯერ უნდა მათქმევინოთო!.. ამ დაჟინებულ ბრძანებასაც აღარა კმარობს ბ-ნი ნ. ველისციხელი და რაღაც ეჭვიან გაუგებრობას უბადებს მკითხველს თავისის ყრუბუნდად გაჭიანურებულ „უკანასკნელი სიტყვით", საიდამაც ის დასკვნა გამოდის, რომ თითქოს გამგეობას ქიზიყის დეპო დაეღუპოს თავისს შენჩემაობა-უვიცობით და ეხლა ის ნიშნს უგებდეს: ჰი! აჰყია თქვენზედ, აბა რატომ არ გამიგონეთ, რასაც მე გიბრძანებდითო!.. დიაღ, თავით-ბოლომდე თითქმის ასეთი ცილის მწამებელი აზრია ყრუ-ბუნდად გატარებული ბ-ნ ველისციხელის „უკანასკნელს სიტყვაში". ეჰ, ან-კი უკანასკნელ სიტყვას ამაზედ მეტი რა მოეთხოვება. „ყოველი ნივთიერი ძალა ძალადვე რჩება, თუ იმ ძალას მომხმარებელი, გზის მაჩვენებელი და რიგიანად გამომყენებელი არა ჰყავსო. ჩვენდა საუბედუროდ (ოოვე!.) სწორედ ამ არა სასიამოვნო მოვლენასა ვხედავთ (საიდამ, როგორ?!!) დღეს ბ-ნ მაჩხანელის დეპო-ბანკშიაცაო", თამამად ჰბრძანებს ბ-ნი ველისციხელი, ადამიანი რომ შორიახლოც ვერ იცნობდეს ვერც გამგეობის ცოდნა-მოქმედებას ხსენებულ დეპოსას, თვალითაც არ ენახოს იმ დეპოს აღებ-მიცემობის ავ-კარგი, გაგონითაც არ გაეგონოს რომ ჯერ ჯერობით დეპო მოქმედებს და ასეთ ყოვლად-უსაფუძვლო ლიტონ სიტყვებს-კი ისვროდეს თვალთ-მაქცურის გოდებით: ჩვენდა საუბედუროდ, იღუპება დეპო-ბანკი გამგეობის უვიცობა—დანაშაულობით, რა სახელი დაერქმის ამგვარს ყოვლად-უსაფუძვლო ცილის წამებას, თუ არა რაღაც საზიზღარი შურისძიების წინდაუხედავი თავ-ხედობა. არა ასეთი უკანასკნელი სიტყვის ყოვლად-უსაფუძვლო ცილისწამება დარბაისელს ველისციხელს არ შეჰშვენის.

დ. მაჩხანელი.

*) იხ. „ივერია", № 176.

**) რადგანაც საკამათო საგანი სავსებით გამოირკვა, რედაქცია სპობს პოლემიკას ამ წერილის შემდეგ. რედ.

---

## რუსეთის ცხოვრება.

მოსკოვში უკვე დაიწყეს აშენება პავილიონისა, რომელშიაც სხვა-და-სხვა რკინის გზის შტოებიდგან მომავალი საიმპერატორო მატარებლები გაჩერდებიან. პავილიონი იქნება აშენებული ვიზანტიურს გემოზედ და 100,000 მან. მეტი ეღირება.

—

სრულიად რუსეთის ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზედ იქნება გახსნილი მეტეოროლოგიური განყოფილება, რომლის გამგეთაც პირველ ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორის თანაშემწე მ. ა. რიკაჩევია დანიშნული.

—

ქ. მინსკიდგან ატყობინებენ გაზ. „Slowo"-ს, რომ იქაურ მხეცების საჩვენებელ სახლიდგან გაჰქცევიათ ვეფხვი, რომელიც სამს თვეს ყოფილა დამალული მდ. დნეპრსა და ბერეზინს შუა ტყეში. როგორც ამბობენ, ამ ხნის განმავლობაში მას რამდენიმე კაცი დაუგლეჯია. ვეფხვის დასაჭერად 200 კაცია გაგზავნილი,

მაგრამ ვერა გააწყეს-რა, რადგანაც დაჭერის დროს ჯაჭვი გაუწყვიტა.

—

ამ წლის იანვრიდგან ივლისამდე შემნახველ კასსების რიცხვს 198-ით ღმატნია, წიგნების რიცხვს—116,755-ით, შესანახად შეტანილს ფულს 18 მილიონით უმატნია. მთლად რუსეთის იმპერიაში 1 ივლისს ყოფილა 3,388 შემნახველი კასა, ამათში 2,604 ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებისა, წიგნი 1.771,647 და შესანახად შეტანილი ფული $353^1/_3$ მილიონი მანეთი.

## უცხოეთი

—

**იტალია.** 20 სექტემბრის დღესასწაულობა ახალსა და ახალს შიშსა ჰბადებს კათოლიკეთა მხრივ. გაზ. „ტან“-ის რომაელ კორესპონდენტის სიტყვით, პაპს მიუწერია, ყველა ეკკლესიები, რომლებიც-კი გზათ მდებარეობენ, საითაც დღესასწაულობის დროს დელეგაციები გაივლიან, დაკეტილ იქმნან. გარდა ამისა დაკეტილ იქმნებიან ყველა ის ეკკლესიები, რომლებიც გარიბალდისა, კავურისა და აგრეთვე იმ მეომართა ძეგლთან ახლო მდებარეობენ, რომლებიც 20 სექტემბერს იქმნენ დახოცილნი. ეს პაპის განკარგულება გამოწვეულია არა იმიტომ, რომ ამითი თვით დღესასწაულობას გაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ იმიტომ, რომ ეშინიანთ დღესასწაულზედ მონაწილეთ პაპის წინააღმდეგ მანიფესტაციები არ მოახდინონ.

—

გენერალი ბარატიერი, რომელიც დღემდის რომში იყო, ხელ-ახლად მიემგზავრება აფრიკაში, იტალიის სამფლობელოში, ახალის პოლკების შესადგენად. გაზეთები ამ საახალშენო მხედრობის გაძლიერებას მენელიკის საწინააღმდეგო მოქმედებადა სთვლიან. თვით ბარატიერს წარმოუთქვამს აზრი ერთს კერძო ლაპარაკში, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი დიდხანს არ დაიცავენ მშვიდობიანობასაო; „საჭიროა ეხლავე მზად ვიყვნეთ, რომ გაჭირვების დროს პირდაპირ შეგვეძლოს მტრის მოგერება მოსალოდნელ უბედურების თავიდგან ასაცილებლადაო, უთქვამს ბარატიერს“.

### სასამართლოს მატიანე.

—

ყაზანის სასამართლო პალატაში გაირჩა საქმე რუსეთის ქვეშევრდომ თათრების წაქეზების შესახებ, რომ ეს უკანასკნელნი ოსმალეთში გადასახლდნენ. შარშან ერთ ხანად ხმა გავრცელდა, რომ თათრები სულ უნდა მონათლონო და ამ ხმამ ბელებეის მაზრის (უფას გუბერნ.), სოფ. ახალ გომამდისაც მიაღწია. ამ დროს ერთმა ადგილობრივ მცხოვრებთაგანმა, ნურმაჰმადოვმა დაუწყო თურმე ჩაგონება ხალხს, რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობას პირობა აქვთ შეკრული, რომ ქვეშევრდომები გასცვალონო: ვითომ რუსეთს მიეცეს პირობა ოსმალეთს თათრები დაუთმოს, ხოლო სამაგიეროდ ოსმალეთმა რუსეთს დაუთმოს ქვეშევრდომი სლავები. ამ ფანტასტიურ ამბისა გამო ადგილობრივ მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს, რაც შეიძლება მალე გადასახლდნენ ოსმალეთში,—შეიკრიბნენ, დაადგინეს განაჩენი და ამორჩეული კაცი აბდულინი გაგზავნეს სტამბოლს სულთანთან, რისთვისაც ფულიც შეუგროვეს მას და ერთი სიტყვით ყველა თავისი გულის წადილი გადასცეს, რომ სულთანისათვის მოეხსენებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ სტამბოლიდგან წერილიც მოუვიდათ. აბდულინი ატყობინებდა წერილით, რომ ოსმალეთის მთავრობა თანახმაა რუსეთის ქვეშევრდომნი თათრები გადასახლდნენ, ხოლო არ კისრულობს გადასახლების ხარჯის და თქვენის ხარჯით გადმოდითო. მაგრამ იმ დრომდის, ვიდრე თათრები ერთმანეთში საჭირო ფულს ჰკრებდნენ, ეს ამბავი შეიტყო ბოქაულმა, მივიდა სოფელში, ეცადა ნურ-მაჰდოვი და აბდულინი შეეპყრო, მაგრამ ხალხი ძლიერ წინააღმდეგი გაუხდა და დაემუქრა, რომ „უცემი“ და „მოუკვლელი“ არ გადაგვრჩებიო. ბოქაულის შემდეგ მივიდა მაზრის უფროსის მოადგილე და დიდხანს არიგებდა, რომ რუსეთის კანონები სრულიადაც წინააღმდეგი არ არიან, რომ მისნი ქვეშევრდომნი სხვა სარწმუნოებას აღიარებდნენო და ტყუილია ის ხმაც, ვითომ თათრებს მონათვლას გიპირებდნენო. ვიდრე იგი ამ საგნის შესახებ და თავ-დაჭერით ელაპარაკებოდა, ხალხი დამშვიდებული უგდებდა ყურს, მაგრამ როგორც-კი ზოგიერთა პირთა დატუსალება განიზრახა, მაშინ-კი აღარ დაერიდნენ და ისევე მოეპყრნენ, როგორც ბოქაულს: დატუსალებულნი მაშინვე განათავისუფლეს, ბოქაულსა და მაზრის უფროსს შეურაცხყოფა მიაყენეს და საქმე იმითი გათავდა, რომ პოლიციას პირში ჩალა გამოავლეს. შემდეგ როგორც ვოლგის გაზეთები იუწყებიან, თათრები დაუმშვიდებიათ და 31 კაცი მიუციათ სამართლისათვის. ეს საქმე უკვე გაირჩა ოლქის სასამართლოში, ხოლო პალატამ დაამტკიცა მისი გარდაწყვეტილება, რომლითაც ნურმაჰმადოვსა და აბდულინს საპატიმროთა განყოფილებაში ჯდომა მიუსაჯა.

### ტირაჟი მოგებათა.

მეორე შინაგან მოგებიან სესხის ტირაჟით 1 სექტემბერს ჰხვდათ მოგება 500 მან. შემდეგს ბილეთებს:

№№ ბილ. — №№ სერ.

1: 1677, 12495, 18756.
2: 3113, 14482, 17262.
3: 280, 7411, 8958, 15628.
4: 1414, 4101, 5223, 6412, 16246, 19609, 19696.
5: 11170, 11201, 15844, 16007.
6: 272, 6642, 10914, 16567.
7: 672, 16914.
8: 418, 2959, 12451.
9: 2273.
10: 52, 4614, 6058, 9051.
12: 5935, 7924, 19736.
13: 9518, 14925, 16019, 16035, 18036.
14: 11083, 16749, 17756, 18170.
15: 4163, 11665, 15768.
16: 1128, 1785, 7370, 9218, 12269, 16576, 17189, 17408, 18829, 19688, 19758.
17: 395, 5605, 6013, 6357, 11523, 13324.
18: 443, 5323, 10146, 14843, 18538.
19: 7285, 12335, 15799.
20: 2404, 2718, 5597, 8000, 8874, 12239, 14512, 19084.
21: 4154, 4982, 5057, 6536, 11645, 13381, 18186, 18784, 19445.
22: 7065, 11124, 16247, 18101, 18111.
23: 2938, 5297, 16826.
24: 1423, 1982, 17514, 19067.
25: 12223, 14048, 15897, 19448, 19465, 19970.
26: 5361, 11977, 14316, 17106, 18888.
27: 1522, 9828, 10951.
28: 2573, 11475, 12635, 13395, 17706, 18038.
29: 3521, 19,277.
30: 8086, 13112, 16475, 18048.
31: 859, 2303, 8191, !9846, 10888, 11788, 14561, 18098.
32: 10356, 14232, 14606, 16299, 17219.
33: 189, 1976, 3975, 6261, 9789, 12018, 13367, 18213, 19634.
34: 1251, 1457, 5398, 5428, 13082, 14074, 14641, 16087.
35: 6135, 10312, 12577, 12758, 14891.
36: 2956, 4226, 9397, 15055, 16489.
37: 452, 1763, 3531, 4699, 5785, 8278, 10847, 11809, 12038, 13621, 14660, 15398, 16592, 18052, 18082.
38: 1905, 5633, 6328, 7270, 11635, 14075, 15286, 16412.
39: 2579, 9052, 9076, 12204.
40: 487, 10611, 12269, 15090, 15683, 16559, 19191.
41: 317, 4927, 8665, 9266.
42: 94, 9513, 11115, 13739, 15146, 16978, 17735, 18921, 19945, 19983.
43: 563.
44: 3490, 7711, 7896, 8180, 8527, 9277, 16429, 16468, 18349.
45: 429, 2167, 2643, 5282, 6255, 11569, 12363, 13585.
46: 12147, 14556, 15524, 17434, 17496, 17980, 19674, 19921.
47: 545, 14339, 19010, 19694.
48: 1649, 1898, 7840, 14353.
49: 1216, 6913, 6934, 11173, 15892.
50: 9015, 15558, 19546.

№№ სერიისა, რომლებიც ტირაჟით იქმნენ გაუქმებულნი:

8617, 14869, 8942, 3270, 5904, 4684, 17302, 1332, 6159, 18821, 12406, 16035, 7911, 10533, 1937, 7319, 19518, 15934, 1912, 16856, 6329, 10556, 10710, 12760, 11383, 1795, 12697, 11272, 8166, 16657, 5567, 14431, 11518, 6394, 17949, 57388, 16399, 10791, 17815, 11290, 4201, 8991 9378, 2708, 7071, 12137, 10251, 8576, 7641, 8687, 10024, 12456, 15646, 1718, 5491, 15342, 16974, 5570, 8451, 7062, 17621, 975, 18445, 11505, 3272, 8408, 2712, 5259, 4268, 18177, 15270, 7312, 18348, 19495, 4912, 7585, 12588, 13040, 3600, 16716, 8523, 18639, 7492, 14911, 13526, 11927, 18156, 6475, 15526, 12195, 15966, 19004, 13925, 331, 1352, 13365, 9553, 10438, 19657, 14282, 18237, 2942, 8986, 1801, 6106, 15464, 16417, 19336, 10921, 6098.

სულ 110 სერია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენ. ვესტნ.“-ის სიტყვით ხარკოვის ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში 1896 წლის პირველ იანვრიდგან ასწავლიან სამეურნეო მანქანათა კეთებას და აგრეთვე დაარსებულ იქნება სამეურნეო მანქანათა და იარაღთა სადგური.

**მოსკოვი.** საბჭომ ერთხმად მოიწონა გამგეობის კომისიის დადგენილება, რომ ქალაქმა მიიღოს მონაწილეობა გვირგვინის კურთხევის დღესასწაულში.

**პარიზი.** ჯარების უკანასკნელ ალლუმზედ დასასწრებლად მირკურს წავიდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი.

მირკურიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის უმაღლესის შტაბის ოფიცრებმა სადილი გამართეს დრაგომიროვის პატივსაცემლად. გენერალმა ბუადეფრმა დალია სადღეგრძელო დრაგომიროვისა და რუსეთის შტაბისა. დრაგომიროვმა აღდეგრძელა ბუადეფრი, ჯარის-კაცი და ისურვა კავშირი და ამხანაგობა ბრძოლაში.

**სტამბოლი.** უკანასკნელ დღეებში გალატაში ხოლერით 11 კაცი გახდა ავად და 7 გარდაიცვალა.

**ლონდონი.** სიმლიდან ამბავი მოვიდა, რომ რუსეთიდანა და ინგლისიდან პამირზედ გაგზავნილ გამიჯვნის კომისიამ დაუბრკოლებლად გაიყვანა იგივე საზღვარი, რომელიც 1873 წლის შეთანხმებით იყო აღნიშნული. ახლა უმაღლეს მთავრობისაგან მოელიან დამტკიცებას.

**ჰონკონგი.** კუშენგში სიკვდილით დასჯილ იქმნა შვიდი ჩინელი, რომელნიც ქრისტიანთა ამოწყვეტის მოთავენი იყვნენ.


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის საბჭო** ამით უცხადებს ყავახანების, სასმელების დუქნების, ბუფეტების, სასტუმროებისა, რესტორანებისა და ლუდხანების პატრონებს, რომლებშიაც თბილს საჭმელებსაც ამზადებენ და აგრეთვე სასმელების სარდაფების, ავეჯეულობით მოწყობილ ოთახებისა, ყავის სასმელ ადგილებისა, სახაიოებისა, სადაც საუზმეულობაცა და თბილი საჭმელიც ისყიდება, საკონდიტეროებისა და სხვა ამგვარ ადგილების პატრონებს, რომ თანხმად 35, 42 და 43 მუხლისა ყავახანების შესახებ დადგენილებათა, რომელიც უმაღლესად დამტკიცებული იქმნა 8 ივნისს 1893 წელს, განაწილება გარდასახადისა ყავახანებზედ უნდა დასრულებულ იქმნას არა უგვიანეს ოქტომბრის 20-სა, ხოლო თუ 20 ოქტომბრამდის არ იქნება განაწილებული, მაშინ გარდასახადს გაანაწილებს ქალაქის საბჭო. ამისათვის ქალაქის საბჭო სთხოვს ზემოდ მოხსენებულ სახლების პატრონებს დააჩქარონ არჩევანებართვის მოწმობებისა საყავახანო საქმის წარმოებისათვის ამ 1896 წ., რომ შესაძლებელი იყოს თავისს დროზედ იქმნან ამორჩეულნი ხარჯის შემწერი კომისიები.

(1—6—1).

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ზარათაშვილის

ლექსები და წერილები.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

მამის ერთგული.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

მტრედი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

## კელერის Z დუხები

ისყიდება ყველგან და ყველა დიდ ვაჭრებთან.

როგორც ასო Z-ი ითვლება უკანასკნელ ასოთ მთელს ანბანში, ისე ეს დუხები უნდა ჩაითვალოს პარფიუმერიის უკანასკნელ საუკეთესო ნაწარმოებად.

კელერის Z—დუხები, მიუხედავად იმისა რომ მეტად ნაზია, ძალიან კარგად არის შეზავებული, რის გამოც ნელ-ნელა ავრცელებს თვისს საSიამოვნო სუნნელოვნებას და შემდეგ რამდენიმე დღე და ღამე აღარა სცილდება საგანს სუნნელოვნება.

(2—29—2).




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.